სარჩევი

სისტემაში რეგისტრაცია 2

პაროლის აღდგენა 6

საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია 7

ეტაპი 2 - ზოგადი ინფორმაცია 7

ეტაპი 3 - პროგრამები 9

ეტაპი 4 - დადასტურება 11

რედაქტირება 12

პროფესიული განათლების მისაღებად აუცილებლია დარეგისტრირდეთ, შექმნათ პირადი მომხმარებელი და პაროლი, გაიაროთ სისტემაში ავტორიზაცია და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

სისტემაში რეგისტრაცია

1. რეგისტრაციის გავლის მიზნით, ვებგვერდიდან აირჩიეთ ღილაკი - „რეგისტრაცია“

2. მონიშნეთ თქვენი მოქალაქეობა, მიუთითეთ პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, აირჩიეთ სქესი, შესაბამის ველებში მიუთითეთ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი - რეგიონი, რაიონი, მისამართი, საკონტაქტო მობილურის ნომერი, ელ. ფოსტა, პაროლი, გაიმეორეთ პაროლი. უსაფრთხოების მიზნით, გაეცანით შესაბამის შეტყობინებას და თანხმობის შემთხვევაში მონიშნეთ შესაბამისი ღილაკი. ყველა სავალდებულო ველის შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს - „რეგისტრაცია“.



შენიშვნა:

- საქართველოს მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის მქონე - უნდა მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხართ საქართველოს მოქალაქე ან ბინადრობის მოწმობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის არ მქონე - უნდა მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხართ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საქართველოში მცხოვრები, ბინადრობის მოწმობის არ მქონე მოქალაქე;
- ფორმაში არსებული ყველა ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არასწორად იქნა შევსებული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

მომხმარებლის გააქტიურება/ვერიფიკაცია

- რეგისტრაციის დროს მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მიიღებთ ვერიფიკაციის კოდს;
- გაითვალისწინეთ, მნიშვნელოვანია მობილური ტელეფონის ნომერი მიუთითოთ სწორად;
- სავალდებულოა, პაროლის ველში შეიყვანოთ მინიმუმ 6 სიმბოლო (A-Z, 0-9) და იგივე პაროლი გაიმეოროთ შესაბამის ველში. მითითებული პაროლი გამოიყენეთ სისტემაში შესასვლელად;
- მომხმარებლის სახელად სისტემაში დაგენერირდება პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში პასპორტის ნომერი;
- მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერზე სისტემის მიერ იგზავნება ვერიფიკაციის ერთჯერადი 4 ნიშნა კოდი, რომელიც ვალიდურია 5 წუთის განმავლობაში;
- მობილური ტელეფონის ნომერის შეცდომით შეყვანის შემთხვევაში შეგიძლიათ დახუროთ ვერიფიკაციის ფანჯარა, დაარედაქტიროთ ნომერი და განმეორებით დაჭიროთ რეგისტრაციის ღილაკს.
- ეკრანზე გამოდის ფანჯარა, სადაც უნდა ჩაწეროთ ვერიფიკაციის კოდი და დაადასტუროთ:

- დადასტურების შემდეგ სისტემაში გამოდის მომხმარებლის აქტივაციის შესახებ შეტყობინება:

შენიშვნა:

სისტემაში უკვე არსებული რეგისტრირებული მომხმარებლის სახელები ავტომატურად ჩანაცვლდა ელექტრონული ფოსტის ნაცვლად, პირადი ნომრით. შესაბამისად, ავტორიზაციას გაივლით პირადი ნომრით და პაროლით, რომლიც რჩება უცვლელი.

- მომხმარებლის აქტივაციის შემდგომ, უნდა გაიაროთ ავტორიზაცია სისტემაში. ამისათვის მომხმარებლის სახელში უნდა მიუთითოთ პირადი ნომერი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში პასპორტის ნომერი) და რეგისტრაციის ეტაპზე თქვენ მიერ მითითებული პაროლი.

ვერიფიკაციის კოდი ვალიდურია 5 წუთის განმავლობაში, ვადის ამოწურვის ან 2 წუთის გასვლის შემთხვევაში ღილაკზე დაჭერის შედეგად, სისტემის მიერ განმეორებით იგზავნება ვერიფიკაციის კოდი. განმეორებით კოდის გაგზავნის დროს, თუ წინა გაგზავნილი კოდის ვადა არ არის ამოწურული, მაშინ გაგზავნისთანავე წინა კოდი ხდება არავალიდური და ავტომატურად ნაცვლდება ახალი ვერიფიკაციის კოდით.

პაროლის აღდგენა

იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს დაავიწყდა პაროლი, მისი აღდგენა შესაძლებელია

ბმულის მეშვეობით. შესაბამისი დასახელების ველებში უნდა ჩაწეროთ პირადი ნომერი და მობილური ტელეფონის ნომერი:



* იმ შეთხვევაში თუ საჭიროა მობილური ტელეფონის ნომრის შეცვლა, მომხმარებელმა უნდა მომართოს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (info@emis.ge; 2 200 220);



ვერიფიკაციის კოდის მითითების შემდგომ უნდა შექმნათ ახალი პაროლი და დაადასტუროთ „პაროლის აღდგენის“ ღილაკით.

საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია

სისტემაში ავტორიზაციის შემდგომ, გადადიხართ მეორე ეტაპზე და ავსებთ ზოგად ინფორმაციას.

ეტაპი 2 - ზოგადი ინფორმაცია

რეგისტრაციის მეორე ეტაპზე, შესაბამის ველებში ირჩევთ განათლებას, საგამოცდო ქალაქს, ტესტირების ენას და საჭიროების შემთხვევაში ნიშნავთ აპლიკანტის სტატუსს:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი, საგანმანათლებლო საჭიროება და სხვა საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი.

იმ შემთხვევაში, თუ გესაჭიროებათ ტესტირებისთვის ადაპტირებული გარემო, მონიშნეთ შესაბამისი საჭიროება.



მონიშნეთ შესაბამისი სტატუსი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ა) საქართველოს მოქალაქე, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულა უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომლის განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ბ) საქართველოს მოქალაქე და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირი, რომლმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის

ან ჩარიცხვის წინა წელს და რომლის სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

შენიშვნა N1

- შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 საგანმანათლებლო პროგრამა;
- თუ გაქვთ საბაზო განათლება, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები რომლებზეც დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება;
- თუ ხართ არასრულწლოვანი, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სადაც მინიმალური ასაკი არ არის შეზღუდული;
- თუ ტესტირების ენად აირჩევთ არაქართულ ენას (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული), აღნიშნულ ენებზე პროფესიული ტესტირების/შერჩევის წარმატებით გავლის შემთხვევაში აპლიკანტი ისწავლის ქართული ენის მოდულს, შემდგომ კი სწავლას გააგრძელებს სასურველ პროფესიულ პროგრამაზე;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსის მონიშვნის შედეგად გამოსული შეტყობინების გაცნობა სავალდებულოა. ასევე, სავალდებულოა შეავსოთ სხვა საკონტაქტო პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსის მონიშვნის შემთხვევაში, შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტატუსი - „ტესტირებისთვის ადაპტირებული გარემო“ შეგიძლიათ მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტესტირებისთვის გესაჭიროებათ სპეციალური გარემო (კერძოდ - გადაადგილება, დროის გახანგრძლივება ან შრიფტის გაზრდა);
- იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არასწორად იქნა მონიშნული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

ეტაპი 3 - პროგრამები

რეგისტრაციის მესამე ეტაპზე პროგრამების დამატების მიზნით, პროგრამების ძებნის ბლოკში არსებული ველების (რეგიონი, რაიონი, მიმართულება, დარგი, საგანმანთლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის ტიპი, ინტეგრირებული, დაფინანსების ტიპი) მიხედვით მოძებნეთ სასურველი პროგრამების ჩამონათვალი. ჩამონათვალიდან აირჩიეთ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა და დაამატეთ დამატების ღილაკის საშუალებით:



შეგიძლიათ იმავე გვერდზე იხილოთ თქვენს მიერ არჩეული პროგრამების ჩამონათვალი და ჩასაბარებელი ტესტი. ჩასაბარებელი ტესტი მითითებულია მხოლოდ იმ პროგრამებზე, რომლებსაც ეხება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ტესტირება.
გასაუქმებლად გამოიყენეთ წაშლის ღილაკი. პროგრამების ჩამონათვალი შეგიძლიათ შეცვალოთ რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.



რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

შენიშვნა N2

- სავალდებულოა აირჩიოთ მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა
- შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 საგანმანათლებლო პროგრამა.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის შესაძლებელია მხოლოდ 3 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა.

ეტაპი 4 - დადასტურება

რეგისტრაციის მეოთხე ეტაპზე თქვენ ასრულებთ რეგისტრაციას. ერთჯერადი უნიკალური კოდი გეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებით მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე. აღნიშნულის პარალელურად მითითებულ ელ. ფოსტაზე გეგზავნებათ თქვენს მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები. სურვილის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ბეჭდვის ღილაკით დაბეჭდოთ სარეგისტრაციო ფურცელი.





რედაქტირება

- საჭიროების შემთხვევაში, “პროგრამაზე რეგისტრაცია“ ფანჯარაში ახორციელებთ გარკვეულ ცვლილებებს, ღილაკით „უკან დაბრუნება“
- არჩეული პროგრამები შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის ფანჯარაში.